ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95.95222732**

თარიღი:**30/09/2022**

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია 3 (სამი) ერთეული უძრავი ქონება - „სოფლის ამბულატორიები“ კერძოდ: 1) ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისში მდებარე 219 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული ერთი ერთეული შენობა-ნაგებობა (№1-ის შენობის განაშენიანების ფართი 123.21 კვ.მ) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N21.02.32.003); 2) ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში მდებარე 211 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული ერთი ერთეული შენობა-ნაგებობა (№1-ის შენობის საერთო ფართი 123.10 კვ.მ) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N21.06.32.003); 3) ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარჯანისში მდებარე 203 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული ერთი ერთეული შენობა-ნაგებობა (№1-ის შენობის განაშენიანების ფართი 123.10 კვ.მ) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N21.07.32.003).

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო 2022 წლის 07 სექტემბრის №5/50425 წერილით ითხოვს ზემოთ დასახელებულ უძრავი ქონებების, სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემას. შემდგომში ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის (ს/ნ:402157330) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის პირობით. ვინაიდან „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის N4 დადგენილებით დამტკიცებული „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ - ,,სოფლის ექიმის'' კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განსახორციელებლად შეიქმნა ა(ა)იპ - „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მოხდება სოფლის ამბულატორიების გადაცემა ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის ბალანსზე, აღნიშნული დადებითად იმოქმედებს ,,სოფლის ექიმის'' პროგრამის განხორციელებაზე. ჰოლდინგი ერთიანი მიდგომით დაიწყებს მუშაობას ამბულატორიების რეაბილიტაცია/მშენებლობისათვის, რითაც ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობისათვის გაუმჯობესდება პირველადი ჯანდაცვის მიწოდების ხარისხი და არსებული შენობების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა.

ზემოთაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს დასახელებული უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას, შემდგომში ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის (ს/ნ:402157330) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის პირობით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს შემდეგი უძრავი ქონება -

„სოფლის ამბულატორიები“, კერძოდ:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისში მდებარე 219 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული ერთი ერთეული შენობა-ნაგებობა (№1-ის შენობის განაშენიანების ფართი 123.21 კვ.მ) (ს/კ: 21.02.32.003);

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში მდებარე 211 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული ერთი ერთეული შენობა-ნაგებობა (№1-ის შენობის საერთო ფართი 123.10 კვ.მ) (ს/კ; 21.06.32.003);

გ) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარჯანისში მდებარე 203 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული ერთი ერთეული შენობა-ნაგებობა (№1-ის შენობის განაშენიანების ფართი 123.10 კვ.მ) (ს/კ: 21.07.32.003).

2. ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი